ნელა ხორციელდება საბინაო მეურნეობის მართვის შემდგომი სრულყოფის, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვის ღონისძიებები. კვლავ არასაკმარისად გამოიყენება სარემონტო სამუშაოთა წარმოების ინდუსტრიული მეთოდები, სუსტად ინერგება ახალ სახეობათა სამშენებლო კონსტრუქციები და დეტალები, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები. საბინაო ფონდის გამოყენების გაუმჯობესებისა და მისი დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში სრულად არ არის გამოყენებული მოსახლეობისა და საზოგადოებრიობის მონაწილეობის შესაძლებლობანი. საკმარისი მოცულობით არ გამოიყოფა საბინაო ფონდის რემონტისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. ჩაითვალოს ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ამოცანად სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახული მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესების პროგრამის თანამიმდევრულად და განუხრელად შესრულება, ამ მიზნით საბინაო შშენებლობისა და საბინაო მეურნეობის შემდგომი განვითარების, საბინაო ფონდის ეფექტიანი ექსპლოატაციისა და დაცვა-შენახვის, მისი კეთილმოწყობის დონის ამაღლების უზრუნველყოფა.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ:

— სრულყოს საბინაო მეურნეობის განვითარებისადმი ხელმძღვანელობა, წარმართოს ეს მუშაობა საცხოვრებელი სახლების შშენებლობის გეგმების განუხრელად შესრულების უზრუნველსაყოფად და მთელი საბინაო მეურნეობის განსამტკიცებლად. აამაღლოს შესაბამისი სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების ხელმძღვანელთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების პასუხისმგებლობა საბინაო ფონდის ექსპლოატაციისა და რემონტის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

— საქართ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია

კამათი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიისა და მშენებლობის და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის მოხსენებების გამო

დეპუტატ
ბ. ი. ვაშაკიძის
სიტყვა

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოციალური ღონისძიებების განხორციელებასა და წარმოების მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლებას. მარტო გასულ წელს და მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში საბინაო პირობები გაიუმჯობესა 417 ოჯახმა. აშენდა ორი 144-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. მაგრამ ვფიქრობ, საბინაო მშენებლობის ტემპი ერთგვაროვად ჩამორჩება სამრეწველო მშენებლობას. ასეთი შეუსაბამობა, რაგინდ ობიექტური მიზეზებითაც უნდა იყოს გამოწვეული, უარყოფითად იმოქმედებს ქარხანაში კადრების მიზიდვასა და დამკვიდრებაზე.

მე როგორც კომუნისტი და უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, დაინტერესდი აღნიშნული საკითხით. მოვითათბირეთ ქარხნის ხელმძღვანელებთან და გადავწყვიტეთ მომავალში სამეურნეო წესით ვაწარმოოთ დამატებითი საბინაო მშენებლობა. ქარხნის სამშენებლო-სარემონტო სამმართველო ვერ მოუვლის ამ საქმეს, თუ № 4 სამშენებლო ტრესტმა დროულად არ გადაჭრა სამმართველოს საწარმოო ბაზის მშენებლობის დამთავრების საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ ბაზის მშენებლობა, რომელიც დაგეგმილი იყო 1979 წლისათვის, დღემდე დაუთავრებელია. თუ მე-4 სამშენებლო ტრესტს არ შეუძლია დაასრულოს დაწყებული საქმე, მაშინ მან ქვემოიჯარედ აიყვანოს თვით ქარხნის სამშენებლო-სარემონტო სამმართველო და მომარაგოს იგი საჭირო საშენი მასალებით.

გვაქვს სხვა მრავალი პრობლემაც, რომელთა სესიის წინაშე დაყენება ამჯერად არ მოგვაჩნია მიზანშეწონილად, რადგან გვაქვს მათი გადაწყვეტის ნაკადი რეზერვები. ეს არის ორგანიზებულობა, შეგნებული დისციპლინა და მუშური სინდისი.

დეპუტატ
ვ. ტ. გოგოლაძის
სიტყვა

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს.

ასრულებენ რა პარტიის მითითებებს, სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანიზაციები სისტემატურად სრულყოფენ თავიანთ საქმიანობას კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საწარმოო სიმძლავრეთა დროულ ამოქმედებას და ძირითადი ფონდების შემდგომ ზრდას.

მაგრამ, საწუხაროდ, მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილ პერიოდში საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ ვერ უზრუნველყო გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი ობიექტის ჩაბარება. სამშენებლო მოედნებზე ჯერ კიდევ შეინიშნება შრომის დაბალი ორგანიზაცია, ობიექტების საშენი მასალებითა და ნაკეთობებით არარიტმული კომპლექტაცია, შრომის, საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევები.

1983 წლის გეგმით მშენებლობის სამინისტრომ საექსპლოატაციოდ უნდა გადასცეს 50-ზე მეტი სამრეწველო ობიექტი, რომელთა — სსსაქონლო პროდუქციის საერთო ღირებულება 200 მილიონ მანეთს გადააჭარბებს. ეს არის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საამწყობო და თუჯსამსხმელო საამქროები, რომლებიც ქარხანას საშუალებას მისცემენ წლის ბოლოს გამოუშვას მრავალი ახალი ტიპის ავტომობილი; ბამბასართავი ფაბრიკა საჩხერეში და სხვა მსხვილი ობიექტები. სერიოზული სამუშაოებია გათვალისწინებული მეთერთმეტე ხუთწლედის დარჩენილი ორი წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმებში. სამინისტროს ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ 750 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

ნება მომეცით, აღვუთქვა სესიას, რომ საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მრავალათასიანი კოლექტივი ყველაფერს იღონებს სამრეწველო და სხვა დანიშნულების ობიექტების ვადაზე ამოქმედებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადწყვეტილებების განხორციელებისათვის. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1982 წლის 29 დეკემბრისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ";

1982 წლის 29 დეკემბრისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 511 მუხლის შესაბამისად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებულ პირთა მიმართ ადმინისტრაციული სასჯელის ზომების გამოყენების წესის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

1982 წლის 29 დეკემბრისა — „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ";

1982 წლის 29 დეკემბრისა — „ამხანაგური სასამართლოების შესახებ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე";

1982 წლის 29 დეკემბრისა — „ქრონიკული ალკოჰოლიკების იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე";

1983 წლის 5 იანვრისა — „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ" და „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს შესახებ" საქართველოს სსრ კანონებში ცვლილებების შეტანის თაობაზე";

1983 წლის 24 მარტისა — „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საოლქო; რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებისა და სამმართველოების შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 4 ივნისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის დანიშვნისა და თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1983 წლის 11 მარტისა — „ამხ. გ. დ. მგელაძის საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ";

1983 წლის 11 მარტისა — „საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. გ. ბ. გადელიას საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ";

1983 წლის 11 მარტისა — „საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. დ. ე. სარიშვილის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ";

1983 წლის 11 მარტისა — „საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. რ. დ. ფანცხავას საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ";

1983 წლის 5 აპრილისა — „ამხ. გ. ი. ლოლაძის საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ";

1983 წლის 5 აპრილისა — „ამხ. ე. ს. მალაზონიას საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ";

1983 წლის 16 აპრილისა — „ამხ. გ. ლ. ქობლიანიძის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ";

1983 წლის 16 აპრილისა — „ამხ. მ. მ. ქაჯაიას საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ";

1983 წლის 2 ივნისისა — „ამხ. შ. მ. ეცალაშვილის საქართველოს სსრ მინისტრის — საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 4 ივნისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს სსრ ზოგიერთი სახელმწიფო მმართველობის ორგანოს შექმნისა და გარდაქმნის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1983 წლის 11 მარტისა — „საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სისტემაში ცვლილების შესახებ";

1983 წლის 11 მარტისა — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე";

1983 წლის 5 აპრილისა — „სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის" საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ";

1983 წლის 5 აპრილისა — „სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის" საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ";

1983 წლის 5 აპრილისა — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონში დამატებათა შეტანის თაობაზე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 4 ივნისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

ამხ. ამხ. ჯ. ვ. რუსიაშვილისა და რ. შ. ცინცაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნენ ამხანაგები ჯუმბერ ვალერიანის ძე რუსიაშვილი და რევაზ შალვას ძე ცინცაძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 4 ივნისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ენერგეტიკის მუდმივი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ენერგეტიკის მუდმივი კომისია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 4 ივნისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

ამხ. დ. ე. მარგალიტაძის საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 25 მაისის ბრძანებულება „ამხ. დ. ე. მარგალიტაძის საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 4 ივნისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ენერგეტიკის მუდმივი კომისიის შემადგენლობა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

ენერგეტიკის მუდმივი კომისიის შემადგენლობა:

ბერიძე ალექსანდრე ალექსანდრეს ძე — ენერგეტიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

ბოლოკაძე ალექსანდრე ალექსანდრეს ძე — ენერგეტიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

ბურკიაშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე — ენერგეტიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

ვეფხვაძე ალექსანდრე ალექსანდრეს ძე — ენერგეტიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

ზაალიშვილი ზურაბ ბორისის ძე — ენერგეტიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

ზარანდია ალექსანდრე ალექსანდრეს ძე — ენერგეტიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

**ზედგინიძე

თბილისელთა ტაში ოს მსახიობებს

— ᲩᲕᲔᲜᲐ თეატრმა ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი“ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების სამოცი წლისთავს მიუძღვნა, — თქვა ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ოსური დასის რეჟისორმა, საქართველოს და ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის დამსახურებულმა არტისტმა ფ. ხარებოვმა, რომელმაც გაასცენიურა და დადგა ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონი“.

სპექტაკლმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია, რადგან, როგორც დამდგმელმა რეჟისორმაც აღნიშნა, ნაწარმოები საკმაოდ გაბმულებულია და ოსურ სცენაზე მისი ამეტყველება თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ცხინვალის თეატრის ოსურმა დასმა კარგა ხანია მაყურებლისა და თეატრის სპეციალისტთა დამსახურებული აღიარება მოიპოვა. ეს კოლექტივი შეღავათებს არ საჭიროებს. აქ მომუშავე მსახიობები ათეული წლების მანძილზე იღვწოდნენ და იმკვიდრებდნენ პროფესიონალი ხელოვანის სპეციალური სახელს. ამ თეატრის სცენაზე განხორციელებულა არა ერთი და ორი მაღალმხატვრული სპექტაკლი და ეს, ძირითადად, ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულებით იყო განპირობებული. ამ სცენაზე ცოცხლდებოდა წარსული და თანამედროვეობაც, კლასიკაც და ვოდევილიც, ტრაგედიაც და კომედიაც.

უთუოდ დიდი შრომა გაუწევია ინსცენირების ავტორს, რადგან, როგორც სპექტაკლმა გვიჩვენა, ნაწარმოების თითქმის ყველა საგულისხმო დეტალი გადატანილია სცენურ მოქმედებაში. თუმცა გვაქვს რამდენიმე შენიშვნაც. კერძოდ ის, რომ სპექტაკლში ძირითადად სოფელში მომზდარ სცენებს გავეცანით, ხოლო ბაჩანა რამიშვილის ქალაქური ცხოვრების ამსახველი მომენტები სრულიად იგნორირებულია. სცენაზე ვერ ვხედავთ მარგოს, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურაა ნაწარმოებში. კონფლიქტი აკლია ბაჩანასა და იორამის ურთიერთობას. ცხინვალელთა სპექტაკლში აქტიურ მოქმედად გამოიყურება მზე — სიმბოლო სიცოცხლისა და სიწმინდისა. ამდენად თამარი და მზე (საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ა. ჯუსოევა) ერთ კონტექსტში იკითხება და რეჟისორისა და ინსცენირების ავტორის ჩანაფიქრით ბაჩანა რამიშვილის სულის ლირიკულ საწყისად გვევლინება. ამიტომ საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი შოთა ხუციშვილი სწორედ მზისა და აყვავებული ხის მეშვეობით ლაკონიურად გამოხატავს ნაწარმოების მთავარ სათქმელს. აქვე აღნიშვნის ღირსია ლიზა ნინიძის მიერ შერჩეული მუსიკალური ფონიც.

სპექტაკლში მონაწილეობენ ოსი მაყურებლისათვის საკმაოდ ცნობილი მსახიობები: საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გ. ტაუგაზოვი (პროფესორი), საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები დ. გბაბაევი (ბულიკა), ი. ჯიგაევი (იორამი), ა. გედიევი (გლახუნა), რ. ჩაბიევი (დარახველიძე), კ. ჩოჩიევი (ბერგასი), ლ. გალავანოვა (სანებლიძე), ბ. ცხოვრებოვი (ლომკაცა), ე. გუგკაევა (ეენია), ბაჩანა რამიშვილის სახე მიმზიდველი და დამაჯერებელია, თანაც, ალბათ, ზედმეტი არ იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ მსახიობი, რომელიც ამ როლს ასრულებს (საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი რ. ძაგოევი), ძლიერ ჩამოჰგავს თავად მწერალ ნოდარ დუმბაძეს. ეს ფაქტი დასაწყისშივე შენიშნა მაყურებელმა და რადგანაც ნ. დუმბაძის ყოველ ნაწარმოებში საკმაოდ გვხვდება ავტობიოგრაფიული პასაჟები, თითქოს ამ დეტალმაც, რამდენადმე გაამდიდრა სპექტაკლი. ამ მსგავსებამ ერთგვარად „დააზღვია“ მსახიობი, — მაყურებელმა თვალი მოხუჭა ზოგიერთ ნაკლზე, რაც ძირითადად ბაჩანა რამიშვილის სახის ზედმეტად „ტკბილი ფერებით“ გადმოცემაში გამოიხატება.

სპექტაკლში ბაჩანა რამიშვილის სიყმაწვილის ჩვენება ფსიქოლოგიურ ლაიტმოტივად გვევლინება. ცხინვალის თეატრალური სტუდიის მოსწავლე ტ. ძუნოვი უშუალოდ განასახიერებს ყმაწვილი ბაჩანას სახეს და მიუხედავად იმისა, რომ მასთან დაკავშირებული სცენები სქემატურია, იგი მაინც ახერხებს თავი აარიდოს სიყალბესა და გადაჭარბებულ ემოციებს, რაც, არცთუ იშვიათად, შეინიშნება ხოლმე ახალგაზრდა მსახიობთა შემოქმედებაში.

დამამახსოვრებელ სახეებს ქმნიან მსახიობები შ. ქოქოევი (იონა), ც. ბიჩენოვა (სვეტა), ფ. კაჯაევი (ამბოკაძე), ე. ჯიკაევი (ლახანა), ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის დამსახურებული არტისტი გ. ხასიევი (დუტუია), ხ. ვანეევი (თორნიკე), დ. ჯაგაევი (მამუკა) და ვ. თუაევი (სანინსპექტორი).

სასურველი იქნებოდა, სპექტაკლის ფინალი უფრო კონკრეტული და გამომსახველი ყოფილიყო.

მიმდინარე თეატრალური ფესტივალი არა მარტო ღონისძიება და თბილისელი მაყურებლის წინაშე საკუთარი შესაძლებლობების ჩვენებაა, — არამედ მეგობრული ურთიერთობის, სიმართლის უშეღალათოდ თქმისა და კეთილი სურვილების სასაპარეზოც. ამიტომაც უკომპრომისოა ჩვენი წერილი, სადაც თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ: მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, სპექტაკლმა მაინც შეძლო ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონის“ არსის ჩვენება, გამომეღავნდა თეატრის პროფესიული დონე, მისი შესაძლებლობანი, დიდი სიყვარული და პატივისცემა ქართული ხელოვნებისა და მწერლობის მიმართ.

ჩვენ მოწმე ვართ იმისა, რომ, როდესაც ცხინვალის თეატრის სცენაზე ოსი მაყურებლის საყვარელი მსახიობები გამოჩნდებიან, იგივე გ. ტაუგაზოვი, კ. ჩოჩიევი, ლ. გალავანოვა, ე. გუგკაევა, ფ. გაბარაევი, — დარბაზში მქუხარე ტაშია ხოლმე. ეს ტაში წლების მანძილზე ნაღვაწითაა მოხვეჭილი ასეთი ოვაციები ავანსიცაა ხოლმე და განაღდებული თამასუქიც. — ასეთი ტაში, ანუ ავანსი, არ ყოფილა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დარბაზში მათი სცენაზე გამოჩენისას, რადგან სრულიად ბუნებრივია, რომ თბილისელი მაყურებლისათვის ნაკლებად ცნობილია ეს დასი, მაგრამ სპექტაკლის დასასრულს ოვაციებმა და თაიგულებმა მაინც მონახეს ადრესატები და ეს უკვე მშობლიური ცხინვალის მაყურებელთა ტაშს ჰგავდა, ხოლო ყვავილები — ცხინვალის ნაცარგორიდან შემოკრილ ფერებს.

მზია ხეთაგური.

სურათზე: სპექტაკლ „მარადისობის კანონის“ სცენა.
ვ. ᲒᲔᲜᲒᲘᲣᲠᲘᲡ ფოტო.

დღის წესრიგშია სპარტაკიადა

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში დაიწყო სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება წყალბურთში, „ა“ ჯგუფში მოსაპარეზე საქართველოს ნაკრებმა ერთობ დაძაბულ ბრძოლაში სძლია მოლდაველთის გუნდს — 8:7. ამავე ჯგუფში ბელორუსიელებმა მოუგეს ლიტველებს — 10:6. „ბ“ ჯგუფში გამართული მატჩების შედეგები კი ასეთია: ლენინგრადი-რუსეთი — 5:4, უკრაინა-ტაჯიკეთი — 16:4.

სატურნირო ორბიტა

ᲡᲐᲜᲒᲐᲠᲘ. ესპანეთის ქალაქ სარაგოსაში დამთავრდა „სამშობლო მსოფლიო ვარსკვლავებად“ წოდებული საერთაშორისო შეჯიბრება. სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდური გამარჯვება მოიპოვა და ამასთან ერთად პირად შეჯიბრებაში რვა პირველ ადგილს დაეუფლა. ოქროს მედლები მიიღეს თბილისელმა სოსო როსტიაშვილმა (48 კგ-მდე წონითი კატეგორია), ნოვოჩერკასელმა ვლადიმერ ბელოვამ (52 კგ), ყაზანელებმა ნაკიბ მადიაროვმა (62) და მისმა ძმამ რაფიკ მადიაროვმა (68 კგ), ქსტოველმა ნიკოლოზ ბარანოვმა (74 კგ), ვლადიმირელმა ალექსანდრე რასკაზოვმა (82 კგ), მოსკოველმა ვალერი პაშკინმა (90 კგ) და ანდიჟანელმა ვლადიმერ სობოდირევმა (100 კგ-ზე მეტი). ორი პირველი ადგილი წილად ხვდათ ესპანელებს: მიგელ გარსიას (57 კგ) და სანტიაგო მორალესს (100 კგ).

პირმში კი დასრულდა საკავშირო ჩემპიონატი იუნიორთა შორის. 100 კილოგრამამდე წონის კატეგორიაში ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისელმა თოლეტმა ე. ზაზუნაშვილმა.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗᲘ. შექსიკაში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი 20 წლამდე ასაკის იუნიორებს შორის. გთავაზობთ მეორე ტურის შედეგებს: „Ე“ ᲯᲒᲣᲤᲘ. სსრ კავშირი-ჰოლანდია — 2:3, ბრაზილია-ნიგერია — 3:0; ბრაზილია და ჰოლანდია — 3-3 ქულა, ნიგერია—2, სსრ კავშირი — 0.

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეთორმეტე ტურის ბოლო 4 შეხვედრა. შედეგები ასეთია: „ნისტრუ“-„მეტალისტი“ — 0:2, „ჩერნომორეცი“-კიევის „დინამო“ — 1:2, „ფახთაქორი“-„ნეფტჩი“ — 4:0, „სპარტაკი“-ქუთაისის „ტორპედო“ — 0:0. დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩერნომ“.	11	7	1	3	18-12	15
„დინ.“ (მნ)	11	6	3	2	14-8	15
„ზენიტი“	11	6	3	2	14-9	15
„არარატი“	12	7	0	5	15-16	14
„შახტიორი“	11	6	1	4	12-9	13
„სპარტაკი“	11	5	3	3	19-8	13
„ყალგირისი“	11	4	5	2	9-7	13
„დინ.“ (კ)	10	5	2	3	8-7	12
„ფახთაქ.“	11	4	4	3	12-8	12
„ტორპ.“ (მ)	11	4	4	3	11-11	12
„დნეპრი“	11	4	3	4	15-13	11
„დინ.“ (მ)	11	3	5	3	9-7	11
„მეტალის.“	10	4	2	4	12-11	10
ცსკა	11	3	3	5	7-10	9
„ნეფთჩი“	12	3	3	6	10-16	9
„დინ.“ (თბ)	12	2	3	7	8-15	7
„ნისტრუ“	11	2	1	8	6-21	5
„ტორპ.“ (ქ)	12	0	4	8	6-17	4

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტურში ლანჩხუთის „გურიამ“ ლვოვის „კარპატის“ უმასპინძლა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

საფეხბურთო კალეიდოსკოპი

„მონდიალიტო“ მილანში

ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ იტალიური პრესა იუწყება, 24 ივნისიდან 2 ივლისამდე მილანში გაიმართება მეორე „მონდიალიტო“ — იმ საკლუბო გუნდების ტურნირი, რომლებიც წინათ საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელები იყვნენ ანდა ჰქონდათ სხვა დიდი საერთაშორისო მიღწევა. „მონდიალიტოში“ მონაწილეობას მიიღებენ „ფლამენგო“ (ბრაზილია), „პენიაროლი“ (ურუგვაი), „იუვენტუსი“, „ინტერი“ და „მილანი“ (სამივე — იტალია). პირველი ასეთი „მონდიალიტო“ გაიმართა 1974 წელს ასევე მილანში და დასრულდა ადგილობრივი „ინტერის“ გამარჯვებით.

რედაქტორი
გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ზ. ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲥᲝᲠᲔᲝᲒᲠᲐᲤᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ Ზ. ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ Ზ. ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲡ (ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ-ᲡᲐᲨᲔᲛᲘᲜᲝ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲡᲘ) ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲕᲐ.

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲮᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲒᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲕᲐ.

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲮᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲒᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲕᲐ.

ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲙᲝᲜᲪᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲒᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲙᲝᲜᲪᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲮᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲐᲛᲒᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲛᲔᲠᲒᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ 1983 ᲬᲚᲘᲡ 11-ᲓᲐᲜ 16 ᲘᲕᲚᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲔᲬᲧᲝᲑᲐ ᲙᲝᲜᲪᲐᲠᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲘᲠᲐᲓᲝ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲒᲐᲜᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲙᲝᲜᲪᲣᲠᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲙᲝᲜᲪᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲒᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲛᲔᲠᲒᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲙᲝᲜᲪᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲒᲐᲜᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი, 5. ნარიმანოვის ქ. № 3. ტელეფონები: 72-11-96 ან 72-11-57.

თევზჭერის მოყვარულთა საყურადღებოდ!

თევზის ტოფობის დაწყებასთან დაკავშირებით, შავი ზღვის აუზში თევზჭერის წესების მე-18 მუხლის საფუძველზე, საქართველოს თევზის მარაგის დაცვისა და გამრავლების და თევზჭერის რეგულირების შავი ზღვის სამმართველო აცხადებს, რომ 1983 წლის 1 ივნისიდან 31 აგვისტომდე აკრძალულია თევზჭერა რესპუბლიკის ყველა შიდა წყალსატევებში — მდინარეებში, ტბებსა და წყალსაცავებში.

მშრომელთა დასვენების პირობების შექმნის მიზნით, თევზჭერის წესების მე-7 მუხლის შესაბამისად, სამმართველო ნებას იძლევა აკრძალულ პერიოდში გაგრძელდეს სამოყვარულო თუ სპორტული თევზჭერა ანკესით ან ერთნემსკავიანი სპინნინგით. ასეთი თევზჭერა დაშვებულია წყალსატევებში, რომლებიც გადაცემული აქვთ „მონკავშირის“ მეგადურთა და მონადირეთა და ამიერკავკასიის სახეზერო ოლქის სამხედრო მონადირეთა საზოგადოებებს. დაჭერილი თევზის რაოდენობა ორ კილოგრამს არ უნდა აღემატებოდეს ერთ მეგადურზე.

წყალსატევების ნუსხა გამოქვეყნებულია პრესაში. ამ წყალსატევებში სამოყვარულო თევზჭერა ორგანიზებულია ზემოაღნიშნულ საზოგადოებათა სამოყვარულო თევზჭერის წესებით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲔᲜᲘᲡᲝ ᲙᲝᲚᲔᲯᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ, ᲡᲐᲛᲔᲜᲘᲡᲝ ᲙᲝᲚᲔᲯᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ — ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲢᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲪᲐᲕᲔᲑᲨᲘ.

ᲛᲬᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲣᲖᲨᲘ ᲗᲔᲕᲖᲭᲔᲠᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲔ-7 ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲜᲔᲑᲐᲡ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲡ ᲡᲐᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ ᲗᲣ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲗᲔᲕᲖᲭᲔᲠᲐ ᲐᲜᲙᲔᲡᲘᲗ ᲐᲜ ᲔᲠᲗᲜᲔᲛᲡᲙᲐᲕᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲜᲘᲜᲘᲜᲒᲘᲗ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲗᲔᲕᲖᲭᲔᲠᲐ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲪᲐᲕᲔᲑᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲠᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲡ (ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ), „ᲞᲔᲜᲘᲐᲠᲝᲚᲘ“ (ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲘ), „ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘ“, „ᲘᲜᲢᲔᲠᲘ“ ᲓᲐ „ᲛᲘᲚᲐᲜᲘ“ (ᲡᲐᲛᲘᲕᲔ — ᲘᲢᲐᲚᲘᲐ). ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ „ᲛᲝᲜᲓᲘᲐᲚᲘᲢᲝ“ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ 1974 ᲬᲚᲡ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲘᲚᲐᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ „ᲘᲜᲢᲔᲠᲘᲡ“ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ.

ᲒᲘᲒᲚᲐ ᲘᲐᲡᲝᲜᲘᲡ ᲫᲚ ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲫᲔ

ᲓᲐ ᲡᲐᲛᲫᲘᲛᲐᲠᲔ ᲣᲪᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲮᲯᲐᲮᲡ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ

ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲝ ხელოვნების თბილისელ მოყვარულებს კარგად ახსოვთ საბელგანთქმული რუმინელი მომღერლების ზ. პალის, ნ. ხერილის, ე. ჩერნეის, გ. ზობიანის ხელოვნება, რომელთა სპექტაკლებზე ბილეთების შოვნა ადვილი არ იყო. და აი, ახლახან თბილისელთა წინაშე ვერდის ოპერა „რიგოლეტოს“ მთავარ პარტიებში წარდგნენ რუმინელი მომღერლები ნიკულინა მირეა (ჯილდა), ვასილ კატანა (რიგოლეტო) და ვიორელ ბაციუ (ჰერცოგი).



სპექტაკლს უდირიჟორა იანკუ იონმა. ოთხივენი რუმინეთის ქალაქ კლუჟიდან არიან. იქ დაამთავრეს კონსერვატორია და იქვე მოღვაწეობენ საოპერო თეატრში. სსრ კავშირში ადრეც ყოფილან, საქართველოში კი პირველად არიან.

ი. იონი ხუთი წლის განმავლობაში მუსიკალურ თეატრში მოღვაწეობდა როგორც ბანი, ასე რომ, მან კარგად იცის ვოკალისტის ყველა პროფესიული „საიდუმლო“, ხოლო როდესაც სადირიჟორო ხელოვნებას ეზიარა, ჯერ კონსერვატორიის გუნდს დირიჟორობდა, მერე კლუჟის საოპერო თეატრში მიიწვიეს გუნდის მუსიკალურ ხელმძღვანელად, შემდეგ დირიჟორად. მდიდარი რეპერტუარით იმოგზაურა იტალიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, გასტროლებზე იყო კიევშიც.

აი, რა გვითხრა სპექტაკლის წინ დირიჟორმა **ი. ᲘᲝᲜᲘᲜᲘ:**

— ამ ორიოდე კვირის წინათ თბილისის საოპერო თეატრის სოლისტები ნ. ტუღუში, ე. გეწაძე, ა. ხომერიკი და დირიჟორი რ. ტაკიძე წარმატებით გამოვიდნენ ჩვენთან, კლუჟში, „რიგოლეტოსა“ და „ტრავიატაში“. ამქამინდელი ჩვენი სტუმრები იმ მეგობრული შეხვედრის საპასუხო ვიზიტია. ჩვენთან გასტროლებზე ადრეც ყოფილან ქართველი მომღერლები, რომელთა დახვეწილ მოუტატობას არაერთხელ მოუხიბლავს რუმინელი მაყურებელი. ჩვენთვის დიდი ბედნიერება და პატივია თქვენს სცენაზე გამოსვლა, რომელსაც დიდი ტრადიციები აქვს და სადაც ასეთი სახელოვანი მომღერლები მოღვაწეობენ. მეტად მნიშვნელოვანია ის შემოქმედებითი ურთიერთობა, რომელიც ჩვენს შორის დამყარდა. ეს არის მაღალ პროფესიულ დონეზე დაფუძნებული ურთიერთგაგება, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა ერთი რეპერტიციით რამეს მიღწევა, სოლისტებმა, გუნდისა და ორკესტრის ერთი მთლიანი ანსამბლის შექმნა.

სპექტაკლის დასასრულს მაყურებელი მხურვალედ უკრავდა ტაშს სტუმრებს. აი, რა თქვა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **ლ. ᲭᲣᲜᲝᲕᲐ:** მარეას სიმღერით აღტაცებული ვარ. ეს არის იტალიური ბელკანტოს ნამდვილი ეტალონი. იგი მღერის დაუძაბავად, ნატიფი, დახვეწილი გემოვნებით, ბრწყინვალე, ულამაზესი ტემბრის პიანოთი სულში ჩამწვდომად გადმოგვცემს თავისი გმირის მომხიბვლელობას, უშუალობასა და გულწრფელობას. გააზრებული აქვს თითოეული ფრაზა თუ მოქმედება, შესანიშნავად აქვს დამუშავებული პარტნიორებთან ურთიერთობის ყოველი დეტალი. ტემბრული ფერების სიუხვით თანდათანობით ავითარებს ჯილდას სახეს, გამომსახველი ფორტეთი თუ მეცოფორტეთი გადმოგვცემს ვოკალურად და დრამატურგიულად დაძაბულ სიტუაციებს, რითაც იგი წარმოჩინდება როგორც მაღალი კლასის მომღერალი. ეს არის საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ჯილდა.

ახალგაზრდა ტენორმა ვ. ბაციუმ (ჰერცოგი) არათანაბრად დაიწყო თავისი პარტია. ცალკეულ მომენტებში ხმის ფორსირებას ახდენდა, იქნება ეს ღელვითაც იყო გამოწვეული. შემდეგ აქტებში კი უკეთესად აღიერდა. სრული დიაპაზონი, კარგი დიქცია, მშვენიერი გარეგნობა, ლაღი თავისუფალი მოქმედება სცენაზე მას ნამდვილად აძლევს საშუალებას უფრო უკეთ გამოამეღავნოს და გამოკვეთოს თავისი ლირიკული საწყისების სილამაზე.

ვ. კატანას (რიგოლეტო) ეტყობა, რომ ყოველი ფრაზა, სიტყვა, მოძრაობა, ჟესტი გააზრებული აქვს სრულყოფილებამდე. თავისი გმირის შინაგან სამყაროში შესანიშნავად ერკვევა, თავისუფლად მოქმედებს. წინა პლანზე წამოიწევდა რეჩიტატიული მონაკვეთები. როგორც ჩანს, ეს მისი ინდივიდუალური ხერხია რიგოლეტოს ვოკალურ-სცენური სახის გამოსახატავად.

სამივე მომღერალს ახასიათებს ღრმად გააზრებული ვოკალური და სცენური აზროვნება. კარგად იციან რა დირიჟორის კონცეფცია, ისინი ქმნიან ერთიან ანსამბლს, რომელშიც ისახება შინაგანი კეთილშობილება, მუსიკალობა, მხატვრული გემოვნება, ტაქტი.

დირიჟორი ი. იონი, ჩანს, შესანიშნავად იცნობს ვერდის შემოქმედებას. მან სრული კონტაქტი დაამყარა სცენასა და ორკესტრს შორის. განსაკუთრებით გამოიკვეთა ორკესტრის გამომსახველობითი ფუნქცია, მუსიკალურ-დრამატურგიული კულმინაციები, ცალკეული ინსტრუმენტების ტემბრული ნიუან